

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ზურაბ ჩხაიძე

**კომერციულ ბანკებში აქტივების ოპტიმალური მართვის  
თეორიულ–მეთოდოლოგიური სრულყოფა**

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა “ფინანსები” - შიფრი 0204

თბილისი  
2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში  
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი  
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის პროფესორი

/ა. ქუთათელაძე/

ოფიციალური რეცენზენტი  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

/ვ. მოსიაშვილი /

ოფიციალური რეცენზენტი  
მოწვეული ასოცირებული პროფესორი

/მ. მაისურაძე/

დაცვა შედგება 2016 წლის \_\_\_ ივლისს \_\_\_ საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი \_\_ , აუდიტორია \_\_\_\_\_  
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,  
ხოლო ავტორეფერატის - ფაკულტეტის ვებგვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი:  
პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა. კომერციული ბანკების აქტივების მართვის ხარისხის ანალიზი, რომლის ერთ-ერთ შედეგსაც კომერციული ბანკებისადმი წაყენებული მოთხოვნების გამკაცრება წარმოადგენს, ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და საიმედოობის შეფასების მნიშვნელოვანი ეტაპია. ასეთი ანალიზის დროს შეისწავლება საბანკო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განისაზღვრება ბანკის მიერ სახსრების განთავსების ეფექტიანობა. ამიტომ ბანკის აქტივებისა და აქტივების მართვის ხარისხის სწორ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მისი კაპიტალის ზომის, არამედ მიღებული ფინანსური შედეგების შეფასების მიზნით.

მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას საფუძვლად მიჩნეულ იქნა სისტემა „CAMEL“, რომელიც შემუშავდა აშშ-ში და რომელსაც იყენებს ისეთი მაღალრეიტინგული, მსოფლიო დონის სააგენტო, როგორცაა „Thomson Financial Bank Watch“. ამასთან დაკავშირებით, აქტივების მართვის ხარისხის ანალიზმა და შეფასებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან აქტივების რაოდენობრივი დახასიათება ყოველთვის როდი იძლევა სრულ წარმოდგენას ბანკის საქმიანობის ეფექტიანობისა და საიმედოობის შესახებ.

პრობლემის დამუშავების ხარისხი. ქართულ და უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემულია საკმაოდ მყარი სამეცნიერო საფუძველი საბანკო სისტემის სხვადასხვა პრობლემის შესასწავლად. საბანკო საქმიანობა რესურსების ფორმირების, განთავსებისა და ეფექტიანად გამოყენების მიმართულებით შედარებით სრულყოფილად განხილულია გ. ცაავას, ა. ინგოროყვას, ლ. ქოქიაურის, მ. ვანიშვილის, მ. გოგობიას, მ. ლიპარტიას, ბ. ბიწაძის, პიტერ ს. როუზის, ფ. მიშკინის, ვ. პლატონოვას, ვ. კოლესნიკოვის, ტ. ნიკიტინას, ლ. სუხოვის ს. დოლგოვის, ს. ეგოროვას, ე. ჟუკოვის, ო. ლავრუშინის, ი. მამონოვას, ი. ლარიონოვის, ო. როგოვას და სხვათა ნაშრომებში.

ამ ავტორების მონოგრაფიულ ნაშრომებსა და სამეცნიერო სტატიებში განხილულია საბანკო საქმიანობის მრავალი სხვადასხვა საკითხი, კერძოდ, ბანკების ხარჯები და შემოსავლები, აქტივებისა და პასივების მართვა, საბანკო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ოპერაციების წარმოება, ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა და სხვა.

საერთო ჯამში, უკანასკნელი წლების სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის პრობლემებს, მოცემულია არა მხოლოდ საბანკო სისტემის საერთო დახასიათება, არამედ კონკრეტული ანალიზი და კომერციული ბანკებისა და მათი ფილიალების ფუნქციებისა და ოპერაციების შეფასებაც.

თუმცა, მრავალი თეორიული თუ მეთოდური საკითხი, რომელიც ეხება საბანკო საქმიანობის ტაქტიკასა და სტრატეგიას, აქტიური და პასიური ოპერაციების ანალიზს, საწარმოებისა და რეალური ეკონომიკის დარგების დაკრედიტების ორგანიზების პერსპექტიული სქემების შემუშავებას, საკმარისად შესწავლილი არ არის, რაც უარყოფითად მოქმედებს საბანკო რესურსების გამოყენებაზე, აქტივებისა და მათთან დაკავშირებული რისკების მართვის ეფექტიანობაზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო კვლევის მიზანია კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფის თეორიული დებულებებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება იმ ფაქტობრივი მასალების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, რომლებიც დამახასიათებელია საბანკო საქმიანობის განვითარებისთვის ფინანსური კრიზისის პირობებში.

ზემოაღნიშნული მიზანი ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების თანმიმდევრულ გადაწყვეტას:

- აქტივების მართვის ხარისხის ცნების არსისა და შინაარსის განსაზღვრა;
- კომერციული ბანკების აქტივების მართვის ხარისხის შეფასების შედარებით მნიშვნელოვანი მიმართულებების განსაზღვრა;

- კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლებისა და მეთოდების სისტემატიზაცია აქტივების მართვის სტრატეგიის ფარგლებში;

- სასესხო აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის ანალიზი; გაცემული სესხების ხარისხსა და სესხების ვადიანობას შორის დამოკიდებულების დადგენა;

- აქტივების ხარისხზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის მეთოდების სრულყოფა და მათი განვითარების მიმართულებების დადგენა.

კვლევის ობიექტია სასესხო აქტივების ფორმირებისა და გამოყენების პროცესში მონაწილე კომერციული ბანკების, კორპორატიული კლიენტებისა და კერძო პირების საქმიანობა.

კვლევის საგანია იმ თეორიული, მეთოდური და პრაქტიკული საკითხების ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდება კომერციული ბანკების საქმიანობას აქტივების მართვის ხარისხის სრულყოფის მიზნით.

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომები ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის დარგში.

კვლევას საფუძვლად უდევს დიალექტიკური მეთოდი, რომელიც იძლევა საშუალებას, საბანკო აქტივების ხარისხის მართვის სისტემა განხილულ იქნას, როგორც მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი მოვლენა.

კვლევის პროცესში გამოყენებულია საერთო-მეცნიერული მეთოდები და საშუალებები, ლოგიკური, სისტემური და ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის ხერხები.

კვლევის ინფორმაციულ საფუძველს წარმოადგენს საბანკო სექტორის შექმნისა და ფუნქციონირების სფეროში არსებული სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის ანალიტიკური მასალები, პერიოდული ბეჭდვითი მასალები,

საკრედიტო და კომერციული ორგანიზაციების ანგარიშები.

სადისერტაციო კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს საბანკო სექტორის სტაბილური ფუნქციონირების მიზნით აქტივების მართვის ხარისხის გაუმჯობესების თეორიული დებულებებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებაში, რაც უზრუნველყოფს საბანკო საქმიანობის ფინანსურ მდგრადობასა და საიმედოობას.

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი მეცნიერულ სიახლეები:

- დაზუსტებულია ცნება - „აქტივების მართვის ხარისხი“, მოცემულია ამ ცნების ავტორისეული განმარტება, რომელიც არსებული განმარტებებისგან განსხვავებით, გულისხმობს ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღებას ბანკის მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე;

- დაზუსტებულია საქართველოს კომერციული ბანკების აქტივების მართვის ხარისხის შეფასების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მეთოდური საფუძვლები, რომლებიც მიზნად ისახავს გაცემული სესხებისა და სხვა განთავსებადი საშუალებების ეფექტიანობის განსაზღვრას;

- შემოთავაზებულია კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდური უზრუნველყოფის სისტემა აქტივების მართვის სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც იძლევა ბანკის საქმიანობის მართვის ეფექტიანობის შეფასების მიზნით გარკვეული მაჩვენებლების, მეთოდებისა და ხერხების გამოყენების საშუალებას;

- დასაბუთებულია სასესხო აქტივების შემადგენლობის, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზის ჩატარების მეთოდური დებულებები. შემოთავაზებულია კრიზისულ პირობებში სასესხო აქტივების სტრუქტურის ოპტიმიზაციის ავტორისეული ვარიანტი;

- შემოთავაზებულია ბანკის აქტივების მართვის ხარისხზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის მეთოდის სრულყოფის ზომები, კერძოდ, იმ ფაქტორების, რომლებიც წარმოადგენენ სასესხო აქტივებზე შესაძლო

დანაკარგების რეზერვებს, კრედიტის ფასებს, მსესხებლის კრედიტუნარიანობას.

ჩატარებული კვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს აქტივების მართვის თეორიის დარგში არსებული მეცნიერული ცოდნის გარდაქმნაში კონკრეტულ მეთოდურ დებულებებად, რომლებიც გამოიყენება სასესხო აქტივების ანალიზის, შემადგენლობის, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზის სუბიექტების შეფასების მიზნით. თავის მხრივ ეს მეთოდები კომერციულმა ბანკებმა შეიძლება გამოიყენონ კრიზისის პირობებში აქტივების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით. კონცეპტუალური აპარატი გაფართოებულია ცნების „აქტივების მართვის ხარისხის“ ხმარებაში შემოტანით.

დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს კომერციული ბანკების რესურსების გამოყენების, განსაკუთრებით კი - სასესხო დაბანდებებისა და სხვა ისეთი აქტივების ხარისხის ეფექტიანობის შეფასების სახით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში, რომელთაც მოაქვთ მოგება ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ავტორის რეკომენდაციები და ტერმინოლოგიური კორექტივები შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოს კომერციული ბანკების მიერ საბანკო საქმიანობის ანალიზის დროს.

დისერტაციის შედეგები ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების საქმიანობის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემების უფრო სიღრმისეულ და ყოველმხრივ გააზრებას. სადისერტაციო კვლევა შეიძლება სასარგებლო იყოს სამეცნიერო მუშაკებისათვის, პედაგოგებისათვის, დოქტორანტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, ბაკალავრებისათვის და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის.

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა; შესწავლილია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანა, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხგაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემების შესახებ, რამ განაპირობა აღებული პრობლემის მეცნიერული დამუშავების აუცილებლობა, რა ალტერნატიული პრაქტიკული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემების გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წარმოდგენილ ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია კომერციული ბანკის აქტივების მართვის ხარისხის შეფასების ძირითადი მიმართულებები. ბანკის აქტივების მართვა რთული პროცესია და პირველ რიგში, საჭიროებს ინფორმაციის შიდა და გარე წყაროების დადგენას.

კომერციული ბანკი, მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგროვებს დიდი მოცულობით საქმიან ინფორმაციას, რომელიც ეხება მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციონირებას, მის კავშირებს ეროვნულ ბანკთან, საკუთრების სხვადასხვა ფორმის კომერციულ ორგანიზაციებთან, ფინანსური და საგადასახადო სამსახურის ორგანოებთან.

აქტივების ხარისხის ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების გამო ბანკების სამუშაო მახასიათებლების მიხედვით საჭირო ხდება ამ წყაროების კლასიფიკაცია.


მაგალითად, გარეშე წყაროდან მომდინარე ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანალიზის მიზნით გამოიყენება, მიიღება საკანონმდებლო და



აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან, ეროვნული ბანკიდან, ფინანსთა სამინისტროდან და ა.შ.

შიდა ინფორმაციის წყაროებს კი წარმოადგენს აღრიცხვისა და აღრიცხვიანობის სხვადასხვა ფორმები, ცნობები კრედიტებისა და საკრედიტო დავალიანების შესახებ, სესხებზე შესაძლო დანაკარგების გათვალისწინებული რეზერვების შესახებ და სხვ.

გარეშე ინფორმაციის სისტემა, რომელიც გამოიყენება კომერციული ბანკის საქმიანი და ფინანსური გარემოს შეფასების პროცესში, შეიძლება, წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით(ნახ.1.):




ნახ. 1. გარეშე ინფორმაციის წყაროების ფორმირება

საბანკო საქმიანობის ფინანსურ ანალიზში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქტივების ხარისხობრივ შეფასებას, რადგან მათი რაოდენობრივი დახასიათება, მაგალითად, გაცემული კრედიტების რაოდენობა და მოცულობა, ყოველთვის არ იძლევა წარმოდგენას საბანკო სისტემის საკრედიტო დაბანდებების ეფექტიანობისა და უსაფრთხოების და ფინანსური მდგრადობის შესახებ. ამიტომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებიდან მომდინარე უმნიშვნელოვანეს გარეშე ინფორმაციად გამოიყენება სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველს (კაპიტალის ფორმირებისა და საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსების ოპერაციები და სხვ.). მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ კანონში მოყვანილია საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზების ერთიანი სამართლებრივი და მეთოდური საფუძვლები.

კანონებით „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და „საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და სხვა კანონების საფუძველზე შექმნილი საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებითა და დებულებებით მოცემულია წესები და ნორმატივები, რომლებიც აუცილებელია ფინანსური აღრიცხვიანობისთვის, საბანკო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პროცესების, ბანკების მიერ სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების შესრულების, რეზერვების შექმნის და ა.შ. ანალიზისა და შეფასებისთვის.

ნახ.2.–ზე მოცემულია ძირითადი ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია კომერციული ბანკების აქტივების ფინანსური ანალიზისა და მართვის ხარისხის შეფასებისათვის.

სქემაზე მოცემული ინფორმაციის წყაროები ასევე, მოიცავს ცნობებს, რომლებიც აუცილებელია ფინანსური ბაზრების მდგომარეობის, ფულადი მიმოქცევის, კერძო ანაბრების, ემისიის პროცესებისა და სხვ. ანალიზისათვის.



ნახ. 2. ნორმატიული აქტები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას საბანკო საქმიანობის რეგულირების შესახებ

აქტიური ოპერაციების ანალიზისა და მართვის ხარისხის შეფასების მიზნით გამოყენებული შიდა ინფორმაციის ძირითად წყაროებად უპირველეს ყოვლისა, გვევლინება საბუღალტრო ბალანსის სხვადასხვა ფორმები:

- გამოსაქვეყნებელი ფორმა;
- საბრუნავი უწყისი;

რაც შეეხება აქტივებს ბანკის ბალანსში, რომლებიც ასახავს სახსრების განთავსებას ნაშთის სახით დროის განსაზღვრულ პერიოდში, მთავარი მიზნის მიღწევა გამოიხატება შემდეგში:

- ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნება, როგორც მისი თვითგადარჩენის გარანტია;

- შემოსავლის მიღება ბანკის ეკონომიკური ზრდისა და აქციონერებისთვის, მენაბრებისა და ბანკის თანამშრომლებისთვის ოპტიმალური ანაზღაურების გაცემის მიზნით;

- კლიენტების კომპლექსური მომსახურება.

აქტიური ოპერაციების გაგებასთან დაკავშირებით დიდი მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მოცემული კატეგორიის ცნების თავისებურებების გამოყოფა:

- აქტიური ოპერაციები ბუღალტრულ ასპექტში - ეს არის დინამიკური პროცესი, რომელიც აისახება სახსრების ნაკადის სახით და გარკვეულ მომენტში ფიქსირდება აქტივების ნაშთის სახით;

- აქტიური ოპერაციები გარდაქმნის რა აქტივებს პასივებად, შუამავლის როლს ასრულებს მათ შორის;

- აქტიური ოპერაციები მათგან ნაწარმოებ აქტივებთან დაკავშირებით მართვის სისტემის როლს ასრულებს;

- აქტიური ოპერაციების შედეგიანობა გამოიხატება იმავე ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც დასმულია აქტივების წინაშე.

**სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში** მოცემულია ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი კომერციულ ბანკებში. კომერციული ბანკების ფინანსურ მდგომარეობას ახასიათებენ ისეთი განზოგადებული მაჩვენებლების საშუალებით, როგორცაა ბანკის შემოსავლისა და გასავლის მოცულობა, ძირითადი ოპერაციების თვითღირებულება, მოგების მოცულობა, რენტაბელობის დონე.

ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ბანკის ლიკვიდობისა და ბანკის გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები და საბანკო რისკების მაჩვენებლების

სისტემა.

თუმცა, ბანკის ფინანსურ მდგომარეობის განმაზოგადებელი შედეგები მიიღება კერძო მაჩვენებლების გამოყენებით, რომლებიც თავის მხრივ, მიიღება ბანკის მიმდინარე და ოპერატიული საქმიანობის პროცესში. ასეთ მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა აბსოლუტური და ფარდობითი სიდიდეები, რომლებიც უკავშირდება კაპიტალის მოძრაობას, საკრედიტო რესურსებსა და პირველ რიგში, აქტივებისა და პასივების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნას.

საბანკო სამართლის ერთ-ერთ მთავარ სუბიექტებს კომერციული ბანკი წარმოადგენს. საქართველოში კომერციული ბანკების მარეგულირებელი კანონმდებლობა განისაზღვრება როგორც სპეციალური კანონით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ზედამხედველი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით. კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად ნორმატიულ აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 49-ე მუხლში გაწერილია ყველა ის ქმედება, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობისას. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობას. იგი მოიცავს: ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას;

ბ) მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კომერციული ბანკის კაპიტალის წარმოშობის წყაროებისა და მისი მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს და შეამოწმოს კომერციული ბანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, შეამოწმოს მათი შვილობილი საწარმოები, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების აუდიტი და მიიღოს მათგანებისმიერი ინფორმაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში. შემოწმების

შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას მასალები გადაეცემა შესაბამის ორგანოებს;

დ) კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გაუზარდოს სავალდებულო რეზერვების ნორმები, შეუწყვიტოს აქტიური ოპერაციები, აუკრძალოს მოგების განაწილება, დივიდენდების დარიცხვა და გაცემა, შრომის ანაზღაურების გაზრდა, პრემიებისა და სხვა მსგავსი ანაზღაურების გაცემა, მოითხოვოს დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, გაუზარდოს აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ნორმები;

ე) კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ადმინისტრატორებს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება; დააკისროს მათ ფულადი ჯარიმა და მოითხოვოს მათი თანამდებობიდან განთავისუფლება; კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გადაახდევინოს ფულადი ჯარიმა; კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გაუუქმოს შესაბამისი ლიცენზია;

ვ) ნორმატიული აქტით დაადგინოს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემისა და გაუქმების წესები, განსაზღვროს ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი. ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში;

ზ) გარკვეული ვადით ან/და გარკვეული პირობებით გაათავისუფლოს კომერციული ბანკი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმების დაცვისაგან;

თ) შექმნას და მართოს დროებითი ბანკი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ი) დროებითი ადმინისტრატორის ან ლიკვიდატორის მეშვეობით ხელი შეუწყოს გადახდისუნარო კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ან მათი ნაწილის გადაცემას მის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით;

კ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ემუქრება საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას, ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები, რაც მოიცავს: კომერციული ბანკებისათვის საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა დამატებით დასვენების დღეების დაწესებას, კომერციული ბანკებისათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებას

ან/და შეზღუდვებისაგან მათ გათავისუფლებას, სხვა ქმედებას, რომელიც აუცილებელია საფინანსო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის.

საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისთვის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით საჭირო გახდა კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შედარებით სრული შეფასება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ესენია: 1996 წლის 23 თებერვლის საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“; 2006 წლის 18 ივლისის საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 23 მაისის N145 ბრძანებით დამტკიცებულია „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი“. შეტანილია ცვლილება: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 24 ოქტომბრის N278 ბრძანებით.

ამ დოკუმენტების ძირითადი დებულებებით დადგენილია კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასების შემდეგი კატეგორიები:

**პირველი კატეგორია.** ფინანსურად სტაბილური ბანკები. ამ კატეგორიას განეკუთვნება ბანკების ორი ჯგუფი:

- ბანკები, რომელთა საქმიანობაც ნაკლოვანებებით არ ხასიათდება;
- ბანკები, რომელთა საქმიანობაც ცალკეული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

**მეორე კატეგორია.** პრობლემური ბანკები. ეს ბანკები თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად:

- ბანკები, რომლებსაც აქვთ სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- ბანკები, რომელთა ფინანსური მდგომარეობაც კრიტიკულია.

ზემოთ მითითებულ პირველ კატეგორიას ბუნებრივია, მიეკუთვნება ბანკები, რომელთა საქმიანობაც ნაკლოვანებების გარეშე ხორციელდება. ამ

კატეგორიის ნებისმიერი ბანკი, რომელიც საქმიანობისას დაუშვებს ქვემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებებიდან ერთს მაინც, გადაყვანილი იქნება ფინანსურად სტაბილური ბანკების კატეგორიაში, რომელთა საქმიანობაც ცალკეული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

ბანკების საქმიანობისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებია:

- კრედიტორების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები;
- გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გადახდის შეუსრულებელი ვალდებულებები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო რეზერვების წესის დარღვევების აღმოუფხვრელი ფაქტები;
- გასული წლების დაუფარავი ზარალი და სხვ.

ფინანსური მდგომარეობა წარმოადგენს ბანკის საქმიანობისა და ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის ეფექტიანობის განმაზოგადებელ მახასიათებელს. თუმცა, აქტივებისა და პასივების მართვის მაღალი ხარისხისა და კოორდინირების მიზნით საჭიროა კერძო მახასიათებლების გამოყენებაც, რომლებითაც განისაზღვრება კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული რესურსების შეფასების მიმართულებები. მათ რიცხვში შედის შემდეგი პარამეტრების შეფასების მაჩვენებლები:

- აქტივების მართვის ხარისხი;
- პასივების მართვის ხარისხი;
- კაპიტალის საკმარისობა;
- ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა;
- შემოსავლიანობა და რენტაბელობა;
- საბანკო მოქმედების რისკები.

ფინანსური ანგარიშგების კომპლექსურ ანალიზში ამ მაჩვენებლების თანმიმდევრული გამოყენებით მიიღწევა მართვის სტრატეგიული მიზანი - საპროცენტო შემოსავლის ხარისხობრივი, მასშტაბური და მუდმივად მზარდი ნაკადის უზრუნველყოფა, ე.ი. სახსრების მოზიდვისა და



განთავსების საპროცენტო განაკვეთებს შორის მაქსიმალური განსხვავების უზრუნველყოფა ლიკვიდობისა და რისკის საჭირო დონის შენარჩუნებით.

აქტივებისა და პირველ რიგში, გაცემული სესხების ხარისხის შეფასებისას მათი ვადიანობის მიხედვით მიზანშეწონილია ისეთი მაჩვენებლების სისტემის გამოყენება, რომელიც მისაღები იქნება საბანკო პრაქტიკაში. ასეთი სისტემა შეიძლება, შემუშავდეს ოპერატიული ანგარიშგების შემდეგი ფორმების საფუძველზე:

- „მონაცემები საშუალოშეწონილი საპროცენტო ტარიფების შესახებ საკრედიტო ორგანიზაციების მიერ გაცემულ კრედიტებზე“;
- „ცნობები აქტივებისა და პასივების შესახებ მოთხოვნისა და დაფარვის ვადების მიხედვით“.

ანგარიშგების ამ ფორმებით მოცემული ინფორმაციის გამოყენებით შესაძლებელია, ცალკეულ ჯგუფებად დავყოთ ყველა სასესხო აქტივი მათი გაცემის ვადების მიხედვით.

ასეთი დაყოფის ყველაზე ზოგადი მეთოდია სესხების მარტივი დაჯგუფება მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სესხებად.

რამდენადაც სესხების მოკლე და გრძელი ვადით გაცემას სხვადასხვა მიზნები აქვს, განსხვავებულია ამ ჯგუფების ანალიზის მაჩვენებლებიცა და მეთოდებიც.

მაგალითად, ისეთი სასესხო დავალიანების შემთხვევაში, რომელთა გაცემის ვადაც ერთი წლის ფარგლებში მერყეობს, ყველაზე გავრცელებული ანალიტიკური მაჩვენებლები შეიძლება იყოს:

- სასესხო დავალიანების ბრუნვაობის კოეფიციენტი -  $K_o$  და
- სასესხო დავალიანების დაფარვის პერიოდი -  $T_p$ .

სასესხო დავალიანების ბრუნვაობის კოეფიციენტი განისაზღვრება განსახილველ პერიოდში სასესხო დავალიანების საკრედიტო ბრუნვის ფარდობით ( $O_K$ ) სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთთან ( $\overline{C}$ ), ანუ ფორმულით:

$$K_o = \frac{O_K}{C}$$

ამასთან, სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთი ( $\bar{C}$ ) გამოითვლება მარტივი საშუალოარითმეტიკული ფორმულით, ანუ როგორც სასესხო დავალიანების ნაშთების ნახევარჯამები განსახილველი პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისთვის:

$$\bar{C} = \frac{C_H + C_K}{2}$$

თუ განსახილველ პერიოდში სასესხო დავალიანების საშუალო ნაშთები იცვლება, მაშინ გამოიყენება საშუალოქრონოლოგიური სიდიდის ფორმულა:

$$\bar{C} = \frac{\frac{1}{2}C_H + C_2 + \dots + \frac{1}{2}C_K}{n-1},$$

სადაც  $C_H$ ,  $C_2$ ,  $C_K$  - სასესხო დავალიანების თვიური ნაშთებია.

$n$  - თვეების რაოდენობა განსახილველ პერიოდში.

სასესხო დავალიანების დაფარვის პერიოდი ანუ ბრუნვის სიჩქარე დღეებში შეიძლება გამოითვალოს ფორმულით:

$$T_o = \frac{\bar{C} \times D}{K_o},$$

სადაც  $T$  - ბრუნვის სიჩქარეა,

$D$  - საანგარიშო პერიოდია (თვეები, დღეები).

როგორც ცნობილია, ზოგადად კრედიტის დაფარვის პერიოდი უშუალოდ ზემოქმედებს შემოსავლიანობასა და საკრედიტო რისკზე. რაც მეტია დაფარვის პერიოდი, როგორც წესი, მით მეტია მისი არდაფარვის რისკი და მით ნაკლებია სესხის შემოსავლიანობა (ლიკვიდობა).

ბრუნვადობის მაჩვენებლები შეიძლება გამოითვალოს როგორც ბანკის მთელი სასესხო დავალიანების მიხედვით, ისე მისი ცალკეული სახეების მიხედვით, მაგალითად, კომერციულ კრედიტებზე, ნდობის კრედიტებზე, ფიზიკურ პირებზე გაცემულ მოკლევადიან კრედიტებზე, ბანკებში დეპოზიტებზე, მოკლევადიან დაბანდებებსა და სხვ.

ბრუნვადობის მაჩვენებლებს გააჩნიათ არა მხოლოდ დამოუკიდებელი მნიშვნელობა ბანკის მიმდინარე აქტივების შეფასებისას, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია კრიტერიალურ მაჩვენებლებად საბანკო დაკრედიტების ამა თუ იმ პირობების დადგენისას. მაგალითად, ბრუნვადობის მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს საჯარიმო წანამატები ან საშეღავათო დაქვითვები იმ ძირითად საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც დადგენილია მსესხებლისათვის კონტოკორენტულ კრედიტზე, რომელიც ეხსნება განსაკუთრებულად მაღალი რეპუტაციის მქონე საწარმოებს. მას გააჩნია მიზნობრივი დანიშნულება - საწარმოების მიმდინარე სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსება.

კონტოკორენტული კრედიტი - კრედიტის ერთ-ერთი ძვირადღირებული სახეა. კონტოკორენტული ანგარიშის მომსახურებისთვის ბანკი აუცილებლად დამატებით იღებს მსესხებლისგან ე.წ. ბრუნვის საკომისიოს (გადასახადს).

ბანკების მიერ გაცემული კრედიტების ანალიზის მაჩვენებლები უპირველეს ყოვლისა, ვადიანობის პრინციპს უკავშირდება. ამიტომ ბანკები ვალდებული არიან, ერთმანეთს შეადარონ გაცემული კონკრეტული კრედიტის ბრუნვის გეგმიური და ფაქტობრივი სიჩქარეები ყოველკვარტალურად, დაადგინონ შესაძლო გადახრები და ამის საფუძველზე დააწესონ საჯარიმო წანამატები შეთანხმებულ პროცენტზე.

კრედიტის ბრუნვის გეგმიური სიჩქარე კვარტალში შეიძლება, გამოითვალოს შემდეგი ფორმულით:

$$T_{NL} = \frac{Q_{NL} \times P_t}{O_{NL}},$$

სადაც  $T_{NL}$  - არის კრედიტის ბრუნვის გეგმიური სიჩქარე კვარტალში;

$Q_{NL}$  - არის კრედიტის ბრუნვის გეგმიური ზომა კვარტალში;

$P_t$  - სამუშაო დღეების რაოდენობა კვარტალში;

$O_{NL}$  - არის გეგმიური ბრუნვა კვარტალში დავალიანების დაფარვის მიზნით.

ამასთან, ასეთი ანალიზისთვის გამოიყენება ინფორმაცია საწარმოების გეგმიურ ბალანსზე არსებული საბრუნავი საშუალებების შესახებ. გეგმიურ ბალანსში შესულია მონაცემები კვარტალში კრედიტის ზომის შესახებ, ანუ წილადის მრიცხველის შესახებ. მნიშვნელოვანი შედეგება კვარტალში რეალიზაციის დაგეგმილი მოცულობისა და სხვა დაგეგმილი შემოსავლებისგან.

რამდენადაც საბანკო აქტივები გარკვეული რისკის ქვეშაა, ბანკმა პერიოდულად უნდა განსაზღვროს აქტივების რისკის ხარისხი და გააჩეროს იგი განსაზღვრულ დონეზე ბანკის პოლიტიკისა და მოცემულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

ბანკის აქტივების სტრუქტურის შესწავლის საფუძველზე შეიძლება, განვასხვავოთ რისკის სხვადასხვა სახეები. ასე მაგალითად, პროცენტული რისკი შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული ოპერაციებით, რომლებიც უკავშირდება პროდუქტებისა და მომსახურების შექმნას. სწორედ ამ სახის რისკის განსაზღვრისას გამოიყენება აქტივების სტრუქტურის ანალიზის შედეგები.

თუ ვიცით რისკის კოეფიციენტების თითოეული ჯგუფისთვის აქტივების და პასივების თითოეული ჯგუფის ხვედრითი წილი აქტივების საერთო მოცულობაში, შეიძლება განისაზღვროს ბანკის საერთო რისკის ხარისხი. ამ მიზნით საჭიროა საბანკო აქტივების ჯგუფების მიმდევრობის აგება რისკის ზრდის მიხედვით და შემდეგ თითოეული ჯგუფისთვის რიგითი ნომრის მინიჭება. სწორედ ამ ნომრით დადგინდება რისკის კოეფიციენტი.

აქტივების ხარისხის შეფასება რისკის ხარისხის მიხედვით საჭიროებს აქტივების არა მხოლოდ მოცულობისა და ხვედრითი წილის ანალიზს, რომლებიც შეწონილია რისკის ხარისხთან და რისკის თითოეული ჯგუფის ხვედრითი წილის განსაზღვრას, არამედ კრიტიკული და არასრულფასოვანი აქტივებისა და მათი ცვალებადობის მოცულობების ანალიზს. ამასთან, უფრო მეტ ტურადღებას საჭიროებს ბანკის საკრედიტო

საქმიანობის შესწავლა, განსაკუთრებით რისკის ყველაზე მაღალი ჯგუფის ოპერაციების ნაწილში, ანუ V ჯგუფში, სადაც თავმოყრილია საკრედიტო ორგანიზაციის ყველა სხვა აქტივი.

**ნაშრომის მესამე თავში** განხილულია აქტივების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი კომერციულ ბანკებში. აქტივების ხარისხის გაუმჯობესებისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ყველა საკრედიტო ორგანიზაცია ვალდებულია, შექმნას ოპერაციული რეზერვები სესხებსა და სავალუტო, საპროცენტო და ფინანსურ რისკებზე შესაძლო დანაკარგების ანაზღაურების მიზნით.

ნებისმიერი სახის რეზერვი ქმნის საბანკო საქმიანობის შედარებით სტაბილურ პირობებს და ამცირებს წარმოშობილი დანაკარგების ჩამოწერით გამოწვეულ მოგების რყევას.

აქტივების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასება პირველ რიგში საჭიროებს სესხების კლასიფიცირებას არა მხოლოდ ვადიანობის მიხედვით, არამედ სხვა ნიშნებითაც:

- დარგობრივი კუთვნილების მიხედვით;
- მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით;
- საკუთარი ვალის მომსახურების ხარისხის მიხედვით;
- კლიენტი-მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით;
- ვალუტის სახის, გაცემის ტიპისა და სხვ. მიხედვით.

სასესხო აქტივები დარგობრივი კუთვნილების მიხედვით შეიძლება დავაჯგუფოდ შემდეგნაირად: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, მშენებლობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა და სხვ. ეს იძლევა საშუალებას:

- პირველი - საერთო დარგებიდან გამოიყოს ეკონომიკის საბაზისო დარგები, პრიორიტეტული დარგები, რომლებიც გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეროვნული პროექტებით ან პროგრამებით;

- მეორე - ეკონომიკის კონკრეტული დარგების მსესხებლებზე გაცემული

სესხების აბსოლუტურული ნაზრდის მაჩვენებლები ნიშანია ბანკში იმ პრიორიტეტების არსებობისა, რომლებითაც განისაზღვრება სახსრების დაბანდების ეფექტური მიმართულებები. ეს მახასიათებლები დგინდება თითოეული დარგის მიხედვით ცალ-ცალკე.

ცხრილი 1. სასესხო აქტივების მაჩვენებლები 01.01.2015წ. - 01.01.2016წ.

	ნაშთი 2015 წლის პირველი იანვრისათვის	სადებიტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 2016 წლის პირველი იანვრისათვის
	<b>ათასი ლარი</b>			
<b>მოკლევადიანი სესხები</b>	<b>2421563</b>	<b>9463283</b>	<b>8992156</b>	<b>2892689</b>
ეროვნული ვალუტით	1367543	6397272	6076292	1688522
უცხოური ვალუტით	1054020	3066011	2915864	1204167
<b>ვადაგაც. მოკლევ. სესხები</b>	<b>140357</b>	<b>619782</b>	<b>609561</b>	<b>150578</b>
ეროვნული ვალუტით	85630	364427	346209	103847
უცხოური ვალუტით	54727	255355	263351	46731
<b>მისაღები პროცენტები</b>	<b>30437</b>	<b>500732</b>	<b>497240</b>	<b>33929</b>
ეროვნული ვალუტით	16385	320749	318890	18243
უცხოური ვალუტით	14052	179983	178349	15686
<b>გრძელვადიანი სესხები</b>	<b>8070450</b>			
ეროვნული ვალუტით	2464773	<b>8038428</b>	<b>6287551</b>	<b>9821327</b>
უცხოური ვალუტით	5605677	3329833	2537572	3257033
<b>ვადაგაც. გრძელვ. სესხები</b>	<b>100813</b>	4708595	3749979	6564294
ეროვნული ვალუტით	21925	<b>461710</b>	<b>461447</b>	<b>101076</b>
უცხოური ვალუტით	78888	161473	155649	27750
<b>მისაღები პროცენტები</b>	<b>72118</b>	300236	305798	73326
ეროვნული ვალუტით	27248	<b>1334108</b>	<b>1324971</b>	<b>81255</b>
უცხოური ვალუტით	44870	493171	489076	31343
		840937	835894	49912
<b>სხვა ბაკებზე გაცემული სესხები</b>	<b>94226</b>			
ეროვნული ვალუტით	72204	<b>970739</b>	<b>961080</b>	<b>103885</b>
მათ შორის აუქციონ. გარეშე გაცემული სესხები	72204	961511	929841	103875
უცხოური ვალუტით	22022	961511	929841	103875
<b>ვადაგადაცილება სხვა ბანკებზე გაცემულ სესხებზე</b>	<b>0</b>	9228	31240	10
ეროვნული ვალუტით	<b>0</b>			
უცხოური ვალუტით	<b>0</b>			
<b>მისაღები პროცენტები</b>	<b>772</b>	<b>10566</b>	<b>10610</b>	<b>728</b>
ეროვნული ვალუტით	269	9462	9002	728
უცხოური ვალუტით	504	1104	1608	<b>0</b>

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2016 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 347.8 მლნ ლარით (2.4 პროცენტით) შემცირდა და 14.6 მლრდ ლარს გაუტოლდა. სადეპოზიტო ვალდებულებების კლებაზე გავლენა მოახდინა უცხოური ვალუტით დეპოზიტების ლარით გამოსახული მაჩვენებლის კლებამ. 2015 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 13.6 პროცენტით არის გაზრდილი(ცხრილი 1.).

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბანკების მიერ ეკონომიკის ცალკეული სექტორების საწარმოების ჭარბად დაფინანსება მნიშვნელოვნად ზრდის რისკს და აუარესებს საკრედიტო პორტფელის ხარისხს საწარმოსთვის არასასურველი მოვლენების შემთხვევაში.

სასესხო აქტივების კლასიფიკაცია მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით იძლევა გაცემული აქტივების მიმართულებების განსაზღვრის საშუალებას, კერძოდ:

- საწარმოო კაპიტალის დაფინანსებისთვის;
- მოსახლეობის სამომხმარებლო მიზნებით;
- დროებითი საჭიროებებისთვის და სხვ.

საბანკო ფასწარმოქმნის ობიექტი როგორც წესი, არის ოპერაციები, რომლებსაც ასრულებენ ბანკები ფულის საშუალებით, რაც საჭიროებს საბანკო ოპერაციებში ფულის ნებისმიერი მოძრაობის ფასის დადგენას. აქედან მომდინარეობს საბანკო რესურსების მოზიდვისა და განთავსების საბანკო ოპერაციების შეფასების აუცილებლობაც.

საბანკო სფეროში ფასი სპეციფიურია. იგი მუდმივ კავშირშია არა მხოლოდ ღირებულების მოძრაობასთან სასაქონლო ბაზარზე, არამედ თავად ფულადი სახსრების მოძრაობის სხვადასხვა ფორმებთანაც, რის შედეგადაც ადგილი აქვს ფულის თვითზრდას.

მეორე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ძირითადი საბანკო მომსახურების ფასები დგინდება არა აბსოლუტური თანხებით, არამედ წლიური პროცენტებით, რომლებიც გამოიყენება შემდეგი ტარიფების დასადგენად:

- კრედიტებისა და დეპოზიტების ტარიფები;

- ბანკთაშორის ბაზრის ტარიფები;
- ფასიანი ქაღალდების გამოშვების მომგებიანობა;
- საბანკო სერთიფიკატებისა და თამასუქების განთავსების ტარიფები და სხვ.

კრედიტების, დეპოზიტებისა და ბანკის სხვა სახის პროდუქტებისა და მომსახურების ტარიფების საანგარიშოდ გამოიყენება მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს მარტივ და რთულ პროცენტს და ეროვნული ფულადი ერთეულის ფიქსირებულ ან მცურავ კურსს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოზიდული დეპოზიტების ან კლიენტებზე გაცემული კრედიტების ფასს ყოველი ცალკეული ბანკი ადგენს დამოუკიდებლად ანუ იგი არის თავისუფალი, ან ასეთი ფასი დგინდება იმ ბაზრის ტიპის მიხედვით, რომელთანაც კავშირშია ფასი, - ეს არის თავისუფალი კონკურენციის ბაზარი. სწორედ ასეთი ფასი გამოიყენება ბანკის მიერ გაცემული კრედიტის ღირებულების შეფასებისას და ბანკის საკრედიტო პორტფელის მართვასთან დაკავშირებული ამოცანების შერჩევისას. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ბანკის საერთო ფინანსური მდგომარეობა.

კრედიტის ფასი - განსაკუთრებული ეკონომიკური კატეგორიაა. მას საფუძვლად უდევს სასესხო პროცენტის საბაზრო სიდიდე, რომელიც მისწრაფვის ეკონომიკაში მოგების საშუალო ნორმისკენ. შედეგად, სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, იგი შეიძლება, გადაიხაროს მოგების ნორმიდან ზევით ან ქვევით. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- სასესხო საშუალებების მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა;
- „ეროვნული ბანკის“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;
- ფულის ინფლაციური უზრუნველყოფის ხარისხი;
- დარგში არსებული კონკურენციის დონე.

კრედიტის ფასი სასესხო კაპიტალის ბაზარზე დგინდება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. ამას გარდა, კრედიტის ფასზე გავლენას ახდენს ზოგიერთი გარეშე ფაქტორიც, კერძოდ: სავალუტო კურსის რეგულირების მექანიზმის გამოყენების შედეგად საკრედიტო რესურსების გადადინება, საერთაშორისო სესხების ზომა და სხვ.



არსებობს კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ანუ ფასის განსაზღვრის მრავალი მეთოდი, რაც არც არის გასაკვირი, რამდენადაც საპროცენტო პოლიტიკა საბანკო სფეროში ფასწარმოქმნის მთელი სისტემის საფუძველია. კრედიტის პროცენტი კავშირშია ქვეყანაში ფასების მთელ სისტემასთან.

პირველ რიგში, კრედიტი ემსახურება ეკონომიკის ყველა დარგს, მრეწველობითა და მშენებლობით დაწყებული და სოციალური სფეროთი დამთავრებული. შესაბამისად, კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზეა დამოკიდებული ეკონომიკური ბრუნვის ხასიათიც.

მეორე, საკრედიტო აუქციონებზე პროცენტი განისაზღვრება აუქციონის ვაჭრობის პრინციპით, ხოლო პროცენტის ტარიფები - გაანგარიშების მეთოდით, რაც ხელს უწყობს ვაჭრობის ორგანიზაციის ფორმების ოპტიმიზაციას.

მესამე, საკრედიტო პროცენტი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარების მიმართულებებს. პროცენტის ზრდას თან სდევს ფულის ბრუნვის კანონების დარღვევა, ინფლაციის ზრდა და ეროვნული ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის შემცირება. ამის საპირისპიროდ, საპროცენტო განაკვეთის შემცირება ამყარებს ლარს, მაგრამ ზრდის ბრუნვაში არსებულ ფულად მასას. ამიტომ კრედიტის საპროცენტო ტარიფების რეგულირებაში ყოველთვის ერევა სახელმწიფო.

## დასკვნა

თუ ბანკის კაპიტალს განვიხილავთ, როგორც სხვაობას მის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, მაშინ აქტივების არასწორად განსაზღვრის შემთხვევაში კაპიტალის რეალური ფასი დამახინჯდება. ამიტომ ბანკის აქტივების ხარისხის კორექტულ შეფასებას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში კაპიტალისა და მისი საკმარისობის განსაზღვრისათვის.

აქტივების ხარისხი განისაზღვრება ბანკის მიერ დაბანდებული ფულადი სახსრების სრული ან პოტენციურად სრული დაბრუნებადობით. აქტივების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხელშეკრულებით შეთანხმებული კრედიტის დაბრუნებადობის ვადები, თუ ამასთან კრედიტის სრული დაბრუნება ხდება გაზრდილი ღირებულების პირობებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქტივების ხარისხი შეიძლება, განვიხილოთ, როგორც იმ თვისებების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის მიერ დაბანდებული ფულადი სახსრების სრულ დაბრუნებადობას ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადებში და ბანკის კუთვნილი გაზრდილი ღირებულებით.

აქტივების მართვის სისტემის ამ განსაზღვრების პრაქტიკაში გამოსაყენებლად საჭიროა აქტივების დანაწილება ცალკეულ ჯგუფებად - სასესხო აქტივებად, ფასიან ქალაღებებად, სალარო ნაშთებად, ობლიგაციებად, ძირითად საშუალებებად, არამატერიალურ აქტივებად და სხვ.

აქტივების მართვის ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმი მოითხოვს „საბანკო აქტივების“ სხვა კატეგორიების ცნებების დაზუსტებასაც.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის მსჯელობებია მოცემული ქართულ და უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში. მეცნიერებისა და სპეციალისტების მოსაზრებებისა და მსჯელობის განზოგადების შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საბანკო აქტივები - ეს არის ფულადი სახსრები, აქციები, ობლიგაციები და სხვა მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები, რომლებიც გამოიყენება საბანკო შემოსავლების მისაღებად, ხოლო აქტივების ოპერაციები - ეს არის პასივების აქტივებად გარდაქმნის

პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის მოგებისა და ფინანსური მდგრადობის დინამიურ ზრდას.

საბანკო სექტორის განვითარება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით საჭიროებს მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც, პირველ რიგში ითვალისწინებს ბანკების რამდენიმე კატეგორიად დაყოფას.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ფინანსურად სტაბილური ბანკები, ანუ ბანკები, რომლებიც უნაკლოდ მუშაობენ ან ბანკები, რომლებიც ხასიათდებიან საქმიანობის ერთეული ნაკლოვანებებით. მეორე კატეგორიაში შედიან პრობლემური ბანკები, რომელთაც აქვთ სერიოზული ფინანსური პრობლემები და ბანკები, რომლებიც იმყოფებიან კრიტიკულ მდგომარეობაში.

საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები 2008-2015 წლებში არაერთმნიშვნელოვანი იყო: აქტივების, კერძოდ, კრედიტების მკვეთრ ზრდას თან სდევდა სისტემური რისკების, მათ შორის საკრედიტო რისკების ზრდაც. იმავდროულად, მოსახლეობისა და იურიდიული პირების ნდობა საბანკო სისტემისადმი კვლავაც დიდი იყო, რაც დასტურდებოდა დეპოზიტებისა და ანგარიშსწორების ანგარიშებზე ნაშთების ზრდით.

საბანკო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფა შესაძლებელია ლიკვიდური სახსრების საკმარისი თანხის უზრუნველყოფითა და მათი მართვის ხარისხის გაუმჯობესებით, პირველ რიგში სასესხო აქტივებით, რაც გულისხმობს შემდეგს:

1. საბანკო რესურსების განთავსება მოკლევადიან სესხებში, რომლებიც გამიზნულია საწარმოებში საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების მხარდასაჭერად, რამდენადაც სხვა სესხების გაცემა მეტად სარისკოა;

2. ლიკვიდური სახსრების მართვა ზოგიერთი სახის აქტივების პრიორიტეტული დარგების, მთავრობის ობლიგაციებისა და სხვ. გადაადგილების ან რეალიზების გზით;

3. ლიკვიდობის მართვა მსესხებლების სახსრების დაგეგმილი მოდინების საფუძველზე, რომლებიც დამოკიდებულია მათ მიერ მიღებული შემოსავლების მოცულობაზე, ანუ კლიენტების მიერ სესხების განვადებით დაფარვაზე.

საბანკო აქტივები როგორც წესი, იქმნება აქტივების ოპერაციების შედეგად, ანუ შემოსავლის მიღების, ლიკვიდობის უზრუნველყოფისა და ბანკის ფუნქციონირების შენარჩუნების მიზნით საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსების გზით.

საბანკო აქტივების მართვის ხარისხის შეფასებისთვის საჭიროა, საერთო ერთობლიობიდან გამოვყოთ:

- სალარო აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის ლიკვიდობას;
- მუშა (საბრუნავი) აქტივები, რომლებსაც მოაქვს მიმდინარე შემოსავლები;
- საინვესტიციო აქტივები, რომლებიც გამიზნულია შემოსავლის მისაღებად მომავალში;
- კაპიტალიზებული აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის სამეურნეო საქმიანობას.

ყველა აქტივის მაღალი ხარისხი უზრუნველყოფილია დაბანდებული სახსრების სრული დაბრუნებადობით. ამ ამოცანის ამოხსნის უმნიშვნელოვანესი პირობაა აქტივების სტრუქტურის ანალიზი, ე.ი. საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება. ამ მიზნით აქტივებისა და, პირველ რიგში, სასესხო დავალიანების საერთო თანხა უნდა დაიყოს ცალკეულ ჯგუფებად ხარისხის კატეგორიების მიხედვით.

აქტივების ხარისხის შეფასების მიზნით მიზანშეწონილია აქტივების სტრუქტურის ლიკვიდობისა და რისკის ხარისხის მაჩვენებლის გამოყენება, ე.ი. აქტივების საერთო ერთობლიობიდან მაღალლიკვიდური, ლიკვიდური, დაბალლიკვიდური აქტივებისა და გრძელვადიანი ლიკვიდობის მქონე აქტივების გამოყოფა. ასეთი კლასიფიკაცია შემდგომში იძლევა შემდეგი ჯგუფების გამოყოფის საშუალებას: უვადო აქტივები; ვადიანი აქტივები: მოთხოვნამდე; 30 დღემდე; 31-დან 90 დღემდე; 91-დან 180 დღემდე; 181-დან 360 დღემდე; 1 წლიდან 3 წლამდე და 3 წელზე მეტი ვადით.

ამჟამად საქართველოს კომერციული ბანკების ვადიანი აქტივების სტრუქტურაში დომინირებს 180-დან 360 დღემდე ვადით განთავსებული აქტივები. ეს მეტყველებს იმაზე, რომ რეგიონური ბანკები საკმარისი მოცულობით არ ფლობენ გრძელვადიანი ლიკვიდობის მქონე აქტივებს.

აქტივების რაციონალური სტრუქტურის დადგენისას ბანკებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ საკმარისი მოცულობის მაღალლიკვიდური, არამედ ლიკვიდური და გრძელვადიანი სახსრები და უნდა ასრულებდნენ შესაბამისი ეკონომიკური ნორმატივების მოთხოვნებს.

აქტივების განთავსებისა და გამოყენების ფაქტორებისა და ყველაზე ეფექტური მიმართულებების განსაზღვრის მიზნით შემოთავაზებულია სხვადასხვა მეთოდები. კერძოდ, ტიპოლოგიური დაჯგუფების მეთოდი გამოიყენება ეკონომიკის დარგში დაკრედიტების სისტემის ორგანიზების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოსავლენად. ამასთან, სესხები იყოფა: სტანდარტულ, არასტანდარტულ, საექვო, პრობლემურ და უიმედო სესხებად.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ასევე საბანკო სესხების ცალკეულ ჯგუფებად დაყოფას უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვით. ამ მიმართებით საერთო ერთობლიობიდან გამოიყოფა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები.

სასესხო დავალიანების ხარისხის ცვლილების საერთო სურათის შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფარდობითი სიდიდეებისა და სტრუქტურული ანალიზის მეთოდებს, რაც იძლევა საშუალებას განისაზღვროს: რესტრუქტურიზებული სესხების ხვედრითი წილი; უიმედო და ჩამოწერილი სესხების ხვედრითი წილი; საკრედიტო დაბანდებების რისკის კოეფიციენტები; ზარალის დაფარვის კოეფიციენტები და სხვ.

ამას გარდა, ბანკი იძლევა რეკომენდაციას, მისი მსესხებლების კრედიტუნარიანობის ანალიზის მიზნით გამოყენებული იქნას ფინანსური კოეფიციენტების მეთოდები, მათ შორის: აბსოლუტური და შუალედური ლიკვიდობის კოეფიციენტები; დაფარვის საერთო კოეფიციენტი; ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი და სხვ.

კონკრეტული ამოცანისა და მსესხებლის ტიპის მიხედვით, ბანკმა შეიძლება, გამოიყენოს ნებისმიერი ზემოთ განხილული მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს აქტივების მართვის მაღალ ხარისხს.

**ნაშრომის პუბლიკაცია.** ნაშრომის ძირითადი დებულებები ცალკეული სამეცნიერო სტატიების სახით გამოქვეყნებულია რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში:

1. „კომერციულ ბანკებში აქტივების ხარისხის ეკონომიკური ანალიზი“. ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. № 1-2, 2016წ. გვ. 92-104.

2. „აქტივების ფინანსური ანალიზი კომერციულ ბანკებში“. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“. № 5, 2015 წ. გვ. 84-88.

3. „აქტივების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი კომერციულ ბანკებში“. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. №1-2, 2016წ. გვ. 164-169.

**ნაშრომის აპრობაცია.** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებაში:

1. „კომერციული ბანკის აქტივების მართვის ხარისხის შეფასების ძირითადი მიმართულებები“. მეორე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC-2014. „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ,დღეს, ხვალ“. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. №4,2014წ. გვ. 199-202.

**ნაშრომის აპრობაცია.** დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:

1. აქტივების მართვისა და ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასება კომერციულ ბანკებში. (13.02.2016).

2. ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი კომერციულ ბანკებში. (04.07.2015).

3. აქტივების მართვის ხარისხის შეფასება კომერციული ბანკებში (14.02.2015).

## Abstract

The dissertation thesis about “**The theoretical-methodological improvement of the optimal management of assets at commercial banks**” is quite urgent. It should be noted that despite the general positive results achieved throughout the country, the banking sector could not overcome the financial crisis thoroughly. However, on the second hand, the severest outcomes of the legislative, organizational and financial crises of the credit institutions were overcome by way of providing the conditions necessary to support the growth of bank capital and assets, and financial state of the banks in general.

The financial state of the commercial banks is characterized by such generalized indicators, as the size of the bank incomes and expenditure, prime cost of the principal operations, and size of profit and profitability.

The indicators of the bank liquidity and payment ability and system of bank risks form a separate group. The generalized results of the financial state of the banks are calculated by using private indicators, which on their turn, are calculated during the current and operative operations of the bank. Various absolute and relative values associated with the capital movement, credit resources and designing the efficient system of assets and liabilities management can be attributed to such indicators.

The high quality of any assets in general and bank credit operations in particular, is achieved at the expense of full recovery of the invested funds. The principal objective to achieve this goal is analyzing the content and structure of the assets and loanable funds first of all, i.e. performing the quality analysis of the loans given out by the bank at the given moment, which is the credit portfolio. However, if this is not just a list of credits, but a set of loans structured through a very important criterion of credits, then term “credit portfolio” is an indicator of the issued loans and bank credit activity in general. Generally, the risk criteria of credits are used for structuring credits in this way; however, such criteria are not always sufficient to thoroughly assess the quality of the assets, as not all assets have the same structure.

The National Bank of Georgia regularly examines the credit links for their financial state, as well as compliance of the credit links with this law and normative acts of the National Bank of Georgia. Aiming at eliminating the gaps and violations identified during the supervision and improving the financial state of the credit links, the National Bank of Georgia accomplishes correction measures, including the introduction of temporary administration and elimination of the licenses.

The further development of the Georgian banking system based on market principles has necessitated a relatively thorough assessment of the financial state of the commercial banks in line with the international standards of financial settlement.

Financial state is a generalized indicator of efficiency of the bank activity, assets and liabilities management. However, the high quality and coordination of assets and liabilities management needs the use of private indicators, which determine the trends of the financial state of a commercial bank and resources associated with it.

As the financial state of a bank generally depends on quality of management of the assets and liabilities of a commercial bank, the further study of the associations between them and their influence on the bank management quality is very important.

It should be noted that the balance of the commercial bank is made up of not only of the variable interest rates of the assets, but of the same kind of interest rate of the liabilities. Consequently, the assets of the balance, which are considered long-term assets, do not allow rapidly changing its structure. This factor is necessary to consider

when formulating the bank management and identifying the rational proportions between the indicators of balance and financial settlement.

In general, the financial state of the commercial banks depends on the coordinated management of the bank assets and liabilities and validity of the strategy selected by the bank, according to which the bank attracts and assigns the resources.

As per the assets management strategy, the size and kinds of the loanable funds available at the bank mostly depend on the cliental demands, which seem to form the bank resource base. The bank only decides how to dispose its assets within the limits of the available resources. In addition, the bank liquidity is managed based on the rational management of the issued loans and maintenance of the sufficient amount of liquidation resources.

The methodological basis for evaluating the financial state of a commercial bank is the set of methods to manage the assets, liabilities and liquidity.